წერილის ნომერი: **18-01203311297**
თარიღი: **26/11/2020**
პინი: **5146**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 18 ნოემბრის №60-01203231234 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ ს. ფიცხელაურის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა), რომლითაც მოქალაქე ნიკა ბოჭორიშვილის განაცხადის (AR1782765) საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,კატევე დეველოპმენტის‘‘ (საიდენტიფიკაციო N405172977) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქალაქ თბილისი, ტარიელის ქუჩა N13, N9 (ნაკვეთი N17/14) N15 (15ბ) მიმდებარედ; ს.კ.: 01.15.05.017.034) (სზ-3) III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციას.

მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შეუძლებელია დადგინდეს განმცხადებლის მოთხოვნა, **თუ რომელი მწვანე ნარგავის შენარჩუნებას, გადარგვას ან/და მოჭრას ითხოვს დაინტერესებული პირი.**

შესაბამისად, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი №255 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, **განმცხადებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს მოსაჭრელი ან/და გადასარგავი მწვანე ნარგავების ნუსხა ნუმერაციის მიხედვით (გარდა შესანარჩუნებელი მცენარეებისა) და სათანადო ტოპო. გეგმა, რომელზეც დატანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:**

- საპროექტო შენობის განთავსების სქემა;
- მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები ნუმერაციის მიხედვით;
- საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილები.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლის და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და ხეებს შორის შეადგენს **3 მეტრს,** ხოლო მშენებარე შენობასა და ბუჩქებს შორის-1,5 მეტრს.

ამდენად, იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გარემოებები.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული

მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი